ხევაზ სვანიძე

პოეზია



სიყვარულის წერილის ფურცლები

• • •

ცხელი იდგა ზაფხული,
მაგრამ მაინც მათოვდა,
შენი თრთოლვა მახსოვდა,
ვიყავი დაზაფრული.

მზე მადნობდა თაკარა,
თუმცა სუსხიც ერია,
სული გადამერია,
რულმა არ გამიკარა.

ზღვაში ვიყავ ეული,
ტყეშიც ყენტად მარები,
სულით ნამწყვარები,
დავრჩი სულ არეული.

ზღვასავით ბობოქარი,
არ მომეშვა სიფიცხე,
თვალი ერთხელ მოკარი,
მაინც ვერ დაგივიწყე.

ცხელი იდგა ზაფხული,
მაგრამ მაინც მათოვდა,
შენი სახე მახსოვდა,
ვიყავი დაზაფრული.

რევაზ სვანიძე

სამშობლო, ღმერთთან ახლოს...
და სიყვარულის წერილის ფურცლები

საქართველოში პოეზიასთან შეჭიდებას საკმაო
გამბედაობა სჭირდება... და მეც გავბედე თქვენთვის
მომეწოდებინა ნაწილი ლექსებისა, რომლებიც სხავადასხვა
დროსა და გარემოში იწერებოდა; ჩემთვის მთავარი გახლდათ,
ნათქვამი გულწრფელი ყოფილიყო. როგორი გამოვიდა, მკითხველმა განსაჯოს...



პოეზიას საზღვრები არა აქვს

უამრავი შემთხვევა არსებობს იმისა, როცა ტექნიკისა და სხვა დარგთა წარმომადგენლები ლიტერატურის, ხელოვნების მიმართ დაუცხრომელ მიდრეკილებას ამჟღავნებენ და ახალ სფეროში განსაკუთრებულ წარმატებასაც აღწევენ (აქ მარტო ნოვალისის, რობერტ მუზილის და ანდრეი პლატონოვის გახსენებაც იკმარებდა). გამოჩენილი რუსი ხელოვნებათმცოდნე და ლიტერატორი, ემიგრაციაში განდევნილი პავლე მურატოვი (1981-1950) პროფესიით სამხედრო ინჟინერი იყო, მაგრამ ამას ოდნავაც არ დაუბრკოლებია, ბრწყინვალე ესეები დაეწერა იტალიის ძველ ხელოვნებაზე და მოგზაურობათა შთაბეჭდილებებზე დამყარებული საუცხოო, უსაზღვრო სიამოვნებით საკითხავი ნარკვევებიც ("იტალიის ხატები") გამოექვეყნებინა. მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლებოდა. თუნდაც რად ღირს ნიკო სამადაშვილის ბრწყინვალე პოეზია და ლევან გოთუას პროზა, რომლებიც პროფესიით ეკონომისტები იყვნენ.

რევაზ სვანიძე ტექნიკის ერთ-ერთი ურთულესი დარგის - ტელეკომუნიკაციის წარმომადგენელია, შესანიშნავი პიროვნება, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი არის მრავალი წიგნისა და მონოგრაფიის, ცნობარის და ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

რაღა თქმა უნდა, მის მიერ წარმოდგენილი ლექსები გულმოდგინედ წავიკითხე. ზოგიერთი ნამდვილად მომეწონა, აზროვნების სიღრმე და ყოველგვარ სიყალბეს განრიდებული უშუალობა ეტყობოდა, ზოგიერთს კი დამუშავება,

სრულყოფა აკლდა. ეს არც დამიმალავს და ავტორმა საკმაო შრომა გასწია, რათა ხარვეზები გაესწორებინა.

რევაზ სვანიძე საქართველოს ბედზე დაფიქრებული კაცია. იგი თავისი ურთულესი პროფესიის ათვისებასთან ერთად, კარგად იცნობს ძველ ცივილიზაციათა ისტორიას და ბევრ საკითხზე თავისი საინტერესო, ორიგინალური შეხედულება გააჩნია. იგი, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მშობლიურ მიწასთან. მძაფრად, მთელი არსებით განიცდის თავისი ქვეყნის ბედსა და უბედობას და ეს სულიერი მღელვარება მის არაერთ ლექსშია გამოხატული, რასაც ცოტა ქვემოთ აღვნიშნავ.

ბუნებრივია, იგი გულგრილი ვერ დარჩებოდა, აგრეთვე პოეზიის ორი უმთავრესი, მარადიული, მამოძრავებელი თემის - სიყვარულისა და სიკვდილისადმი.

განსაკუთრებით ნატიფი, ხალასი და მიმზიდველია სატრფიალო ლექსები, რომელთა მიღმა კონკრეტული პიროვნებები ილანდება. ისიც უნდა ითქვას - ეს ხანმოკლე, წუთიერი, ზედაპირული გატაცებები სულაც არ გახლავთ. შეუძლებელია, მომხიბლავი, სათაყვანებელი არსებისადმი მამაკაცის ძლიერი ლტოლვა არ დავინახოთ თუნდაც ამ სტიქონებში:

ჩემი ვნებები შენდამი როცა
უფრო.მძაფრდება და არ ხუნდება,
მწამს - შენი თავი თვით ღმერთმა მომცა
და სიყვარულიც დამიბრუნდება.
("თუ მეჩვენება, თუკი მე ვცდები")

სასიამოვნოა, რომ ავტორი არსად არ ღალატობს სადა, უბრალო მეტყველებას, რაც მის ნათქვამს დამაჯერებლობას მატებს. ეს სასაუბრო ტონი ნამდვილ პოეზიამდეა ამაღლებული, იგი იოლი მისაღწევი როდია და მასში ქალისადმი უსაზღვრო მოკრძალება, რაინდული თავშეკავება ჩანს:

მე არ მინდოდა არაფერი - სიყვარულს გარდა,
მაგრამ ვერ შევძელ, გამერღვია დუმილის ფარდა.

ლექსს კომპოზიციურად კრავს და ამთლიანებს გულიდან ამოტყორცნილი ცალფა სტრიქონი, რომელშიც ადვილად მისახვედრი სინანული გამოკრთის:

როგორ მიყვარდა ერთი ქალი, როგორ მიყვარდა.
("წყენის შემდეგ, განშორების მოლოდინში")

ამავე პიროვნებას (თუმცა ის ალეგორიულიც შეიძლება იყოს) უნდა ეძღვნებოდეს უფრო დინამიური, მუსიკალურად აჟღერებული, რიტმულად უფრო დაძაბული ლექსი „მაინც ვერ დაგივიწყე" - სატრფოს სიახლოვით გამოწვეული სანეტარო წუთების გახსენება, რაც ყველა ნამდვილ მამაკაცს განუცდია. ამდენად, გასაკვირიც არაა მოსვენების დაკარგვა, ფორიაქი, ამ გახსენებას რომ მოსდევს. ყველაფერი თვალნათლივ ცოცხლდება:

ცხელი იდგა ზაფხული,
მაგრამ მაინც მათოვდა,
შენი თრთოლვა მახსოვდა,
ვიყავი დაზაფრული.

მზე მადნობდა თაკარა,
თუმცა სუსხიც ერია,
სული გადამერია,
რულმა არ გამიკარა.

სასიყვარულო და ასევე დინამიზმით აღსავსეა "შეჩერდი, წამო!", ხოლო მშვენიერი ლექსი „ცხოვრების შემოდგომა", ბალზაკის ასაკის ერთ ბანოვანს რომ ეძღვნება, სულ სხვა დანიშნულებისაა. აქ ავტორი რამდენადმე თავდაჯერებულად მიანიშნებს სიყმაწვილეს გადაცდენილ ფერხორციან ქალს, რომ სიყვარულს თავისი დრო აქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, ნამდვილი სიყვარული ყველა ასაკში შეიძლება. გამოყენებული მეტაფორები ადვილად ი'შიფრება და ჩანაფიქრი ცხადი ხდება, თანაც მშრალი, ში'შველი რიტორიკა არიდებულია:

მზით გაჯერებულ შემოდგომას
მისი ხიბლი აქვს,-

თუმცა ზაფხული რა ხანია
წარსულს ჩაბარდა,
სოფლის ღობეზე ჩამომჯდარა
ჩიტი ნიბლია,
სიყვარულს ეტრფის, გაზაფხული
რამაც დაბადა.

მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩება რევაზ სვანიძის ლექსების ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო წვრილმანი: არც ისე იშვიათად, იგი სტროფში ცვლის რითმათა წყობას, განლაგებას, რითაც რიტმს აძლიერებს, მრავალფეროვნებას ანიჭებს. საამისო მაგალითებით წერილს აღარ გადავტვირთავ, ნათქვამი ისედაც ცხადია.

მოკლედ ვიტყვი სხვა თემებსა და მოტივებზეც. ბატონ რეზოს, რამდენადაც შევატყვე, პოლიტიკურ ბატალიებში უშუალოდ ჩარევის სურვილი ნაკლებად აქვს, მაგრამ, ბუნებრივია, როგორც თავისი ეპოქის შვილი, საბჭოთა სისტემის დაშლის ჟამს, გულგრილი ვერ დარჩებოდა საქართველოს ხვედრის მიმართ, მრავალთა მსგავსად, იმედი ჩაესახა, დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას მოვიპოვებდით; ამიტომაც მონაწილე იყო აბობოქრებული ხალხის მიტინგებისა, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს დაგროვილი ეროვნული ენერგიის განმუხტვის ერთგვარი ადგილი გახდა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნაპატიმრალი დისიდენტები, მჭექარე სიტყვებს წარმოსთქვამდნენ და ერთიმეორეზე უფრო რადიკალური მოწოდებებით გამოდიოდნენ. ეს განწყობილება ზუსტად, ხელშესახებად არის გადმოცემული ლექსში „პირველი მიტინგი", რომელიც, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა, იოანეს სახარებაზე მინიშნებით იწყება ("პირველად იყო იპოდრომი, მიტინგი მზეში"). თითქოს ყველაფერი კარგადაა, თუმცა თავს იჩენს დაეჭვება, ოდნავი იმედგაცრუებაც, რაც საყოველთაო აღტკინებას მოჰყვა და, ამ შემთხვევაშიც, ბიბლიასთან დაკავშირებული ალუზიები მოხდენილად არის მომარჯვებული:

რაღა ვართ ახლა, სად გავჩერდით? რაღას ვაპირებთ?
გამოჩნდი, მოსე, გაგვიყვანე იქ, სხვა ნაპირზე!

იქნებ გავცუროოთ, გადავლახოთ მღვრიე მორევი!
ნუთუ არ არის ქვეყნად ძალა, შურის მომრევი?!

სხვა, ამავე სულისკვეთებით დაწერილ ლექსში მკვეთრი პოლემიკური ტონი იგრძნობა და უმთავრესად ის აზრია გამოთქმული, რომ სრულებითაც არ არის საჭირო „ჯიქურ კვეთება", საჭიროა მეტი დაკვირვება, გამოცდილების დაგროვება და არაა აუცილებელი - ხალხი ბრმად მიენდოს ლიდერს:

ეს საქართველო ჩვენიცაა, ბატონო ზვიად!
მომავლისათვის ჩვენც გვიხნავს და ჩვენც გვითესია,
და მისწრაფება - გამოვტაცოთ სამშობლო წყვდიადს,
სულაც არ ნიშნავს, მოგვევლინოს ვინმე მესსიად.
("ეს საქართველო ჩვენიცაა")

ამ, 1991 წლის ზაფხულში დაწერილ სტრიქონებში შეფარებული შეშფოთება მალე აგვიცხადდა-შინაურმა აშლილობამ, ქაოსმა, ყოვლად გაუმართლებელმა ურთიერთდაპირისპირებამ, თავს მოხვეულმა სამოქალაქო ომმა, ღალატმა ყველასთვის ცნობილი მძიმე შედეგები მოგვიტანა, რაც საერთო მტერმა ვერაგულად გამოიყენა.

იგივე ეჭვი და შიში გამოსჭვივის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ დაწერილ ლექსშიც „XX საუკუნე" (1997), სადაც ჩვენი ერის ორი უძვირფასესი სახელი - სიმბოლოა ნახსენები ("ამ საუკუნეს მიაცილებს ილიას ლანდი, ამ საუკუნეს მიაცილებს გალაკტიონი"). ავტორის შეშფოთება ლექსის ეპიგრაფშივეა გაცხადებული: „მეოცე საუკუნეში საქართველომ ორჯერ მოიპოვა თავისუფლება. რას მოგვიტანს ოცდამეერთე?" თვით ეს შეკითხვა ჭირისუფლურ, არაორაზროვან გაფრთხილებას შეიცავს: ამ სისხლის ფასად მოპოვებულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ხელებდაკაპიწებული, მუხლჩაუხრელი შრომა და თავგანწირული ბრძოლა, კბილებით დაცვა ესაჭიროება.

ჩვენს ნიჰილისტურ, ეროვნულ ღირებულებათა არად ჩამგდებ, გამაბიაბრუებელ დროში ცალკე უნდა აღინიშნოს ის სამაგალითო მოკრძალება, რასაც რევაზ სვანიძე ამაგდარი, სანთელივით წმინდა წინაპრებისადმი

იჩენს. ერთი ასეთი სახელია „ღვთისკაცად“ აღიარებული, ილიასა და ივანე ჯავახიშვილის გვერდით მოსახსენიებელი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი, ვინაც სამშობლოს ფასდაუდებელი განძი გადაურჩინა და ვისაც საბოლოო გზაზე მხოლოდ ორმოცდაათი რჩეული ადამიანი აცილებდა. რევაზ სვანიძემ სიამაყით მითხრა, რომ დედულეთი ჭანიეთია და იქ არის დაბადებული (ჭანიეთი და ლიხაური, ექვთიმეს სამშობლო, ერთი თემი იყო). ალბათ ამანაც გაუათკეცა სიყვარული ამ სამაგალითო კაცისადმი, ვის მოწამეობრივ ცხოვრებაზეც მრავალი დაწერილა და დაიწერება, ხოლო ჩვენმა დაუვიწყარმა რეზო თაბუკაშვილმა დიდებული დოკუმენტური ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ შექმნა.

ბატონი რევაზის საზღვარგარეთულ შთაბეჭდილებათა ნაწილი თავისებურად აისახა ლექსებშიც, რომელთაგან სიძლიერით გამოირჩევა „ნიაგარას ჩანჩქერთან“. ბუნების ასეთი საოცრების მხილველს წუთითაც არ ავიწყდება თავისი სამშობლოს ღვთიური, განუმეორებელი სილამაზე, და ლექსის დასასრულს ის თამამად ამბობს:

ვერ გამაკვირვოს ამერიკამ ნიაგარათი
და ვერც ანხელის წყალვარდნილით ვენესუელამ.

წინამდებარე კრებული, მიუხედავად მცირე ფორმატისა, თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა და მისი ავტორს ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრებიდან განდგომილთა ბედიც აღელვებს. ამის დასტურია გარეგნულად თითქოს და მსუბუქი ფორმით, ამღერებულად დაწერილი, მაგრამ დიდი შინაგანი ექსპრესიის და თანაგრძნობის გამომხატველი, რამდენადმე სევდიანი, დანარჩენთაგან აშკარად განსხვავებული ლექსი „ღამე სამთავროს დედათა მონასტერში“. ფინალურ სტრიქონებში კიდევ უფრო ხაზგასმულია მინორული ტონი, რაც ელეგიურ ელფერს უფრო აძლიერებს:

ბინდია.. წყნარი,
აღარ ქრის ქარი,
აღარ რეკს ზარი..
ძილი.. სიზმარი...

ასეთივე ფაქიზი ლირიზმითა და ხატოვნებით გამოირჩევა „საყვარლის საფლავთან“, და „წყენის შემდეგ... განშორების მოლოდინში“, რომელთა წაკითხვა გულგრილს არავის დატოვებს.

რევაზ სვანიძეს ჭარბად აქვს მომადლებული იუმორის გრძნობა და, სხვადასხვა შემთხვევათა გამო, არაერთი მახვილგონივრული სხარტულაც დაუწერია, დიდი რუსთველი რომ მოვიშველიოთ - „სააშაკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“, რასაც თავის ადგილას, კონკრეტულ გარემოში, გაცილებით მეტი ეფექტის მოხდენა შეუძლია, თუმცა, კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს თუ დავიმოწმებთ, ასეთი ცინცხალი, სამხიარულო სტრიქონები დაბეჭდილიც, გამოქვეყნებულიც „გვეამების“. (ასეთი სახის ლექსებიდან წინამდებარე კრებულში მხოლოდ რამოდენიმე შევიდა).

ირონიული ხასიათის ლექსებიდან შეგვიძლია დავასახელოთ „აგრონომიული ნათქვამი“, „ასპირანტების ხროვას“, „უცხო ქვეყანაში წასულ ტურისტებს“. უკანასკნელში ავტორი მსუბუქად აქილიკებს თავის თბილისელ ნაცნობებს ლიას და ნანას (შეიძლება სახელები პირობითიც იყოს), რომელთაც მშობლიური ბუნების მადლი ვერ უგრძვნიათ, ხშირ შემთხვევაში არც იციან, და საზღვარგარეთის ტურნეებსა და კრუიზებში არიან ჩართულები, ფუქსავატურად ფლანგავენ ფულსა და დროს. (ვისაც ახსოვს, ერთ პერიოდში ასეთი რამ საქართველოში ერთგვარ მოდადაც კი იყო ქცეული). სწორედ მათ გასაგონადაა ნათქვამი:

მოველ, არ დამხვდით, მეწყინა, ვნანობ,
მითხრეს, წავიდნენ საზღვრის გარეთო,
წავიდნენ, გაქრნენ ლია და ნანა,
უცხოურ გზებზე მიჰქრის კარეტა.

ამნაირ მეტიჩარა, ცხვირაბზუებულ წამხედურებს, ყოველივე უცხოურზე ჭკუას რომ კარგავენ, თავის დროზე აკაკიც გვარიანად კენწლავდა. გავიხსენოთ მისი ცნობილი ალეგორია „ჩიტუნები“, რომლის ორიოდე სტროფის მოტანაც ცხადყოფს, თუ როგორ საქციელსაც გმობდა „სულიკოს“ ავტორი:

ჩიტო, ჩიტუნიებო!
შინ ღომის წუნიებო,
სხვის სახლში შაქრის ჭამით
არ გახდეთ უგუნებო.
ნუ გსურთ სხვისი ალერსი,
პატივი უკეთესი!
ეგ სულ ვაჭრული არის
ანგარიში და წესი.

რევაზ სვანიძის სახელდახელოდ დაწერილ ლექსებში შემხვდა ერთი მცირე, ხალასი იუმორესკა, რომელსაც ღიმილის გარეშე ვერ წაიკითხავ. მასში ცოცხლადაა აღწერილი ერთი კურიოზული შემთხვევა. ავტორის ამხანაგი, სოლიდური შესახედაობის მამაკაცი, წელში მოკაკვული, მელიების ფერმაში შედის და ამ ეშმაკი ცხოველების მეთვალყურეს, თუ მომვლელს სერიოზულად თხოვს მელიის ლეკვს, რომელიც თურმე პატარა ბავშვის გასართობად უნდა. თვალით ნანახის კომიზმი იმითაცაა ხაზგასმული, რომ მელას შინ წაყვანის მსურველი ვერ იგებს, თუ რატომ ეუბნებიან უარს მის ახირებულ თხოვნაზე. სურათი ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, ამ ხუმრობის მთლიანად ამოწერა მოგვიწევს:

შევიდა ოთხად მოხრილი,
მელათ სადგომი ბნელია,
ხელს წინ გაიწვდის მოთხოვნით:
მომეცით ერთი მელია...
გაკვირვებული მზერა და
პასუხი: "მაგი ძნელია".
თვალებში სევდა ჩაუდგა:
"რათა, ეს საკვირველია?
ონავარ ნიკოს მივუყვან,
სახლში ბალღები მელიან."

აქვე, არ შეიძლება არ ვთქვა ერთ, სამარცხვინო მოვლენასა თუ ტენდენციაზე: - დღევანდელი ქართველების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი იოლად ივიწყებს სისხლისმიერი წინაპრების - ბებიებისა და ბაბუების - ენით უთქმელ ამაგს

და ჭიქა ღვინოსაც არ ასწევენ, ისინი რომ გაიხსენონ, მათ მიხედვაზე კი არაფერს ვამბობთ. ბატონი რევაზ სვანიძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, თავიანთი წინაპრების მიმართ დიდი მადლიერებისა და თაყვანისცემის გრძნობა რომ გააჩნიათ, რაშიც გვარწმუნებს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ბებია", რომელსაც ძალზე თბილი, მინაწერი ამშვენებს: „ვუძღვნი ჩემი გურული ბებიის ანეტა (ანა) მჟავანაძე-ლომჯარიას ხსოვნას". ამ მინაწერმა თვით ჩემი გურული ბებიაც გამახსენა, ხელებდაკოჟრილი ქვრივი ქალი, ვინაც ომის უმძიმეს წლებში ყველაფერი იღონა, რათა მე და ჩემი უმცროსი ძმა საშინელი შიმშილობის დროს გადავერჩინეთ.

ხსენებულ ლექსში უსაზღვრო სიყვარულით და სითბოთი, კდემამოსილებითაა დახატული ახლო წინაპრის დაუვიწყარი პორტრეტი, რასაც სათაყვანებელი ადამიანის არყოფნით გამოწვეული, მართლაცდა ნათელი სევდა ახლავს:

როგორც არასდროს, მომენატრა ჩემი ბებია,
ათი წელია, ეზოში არ შემგებებია,
თეთრი მიტკალით თავწაკრული ბებია ანა..
ოდაც, ნალიაც ჩვენს ეზოში ისევე დგანან,
მაგრამ შენ არ ხარ საყვარელი, კეთილი სათნო..
შენთვის, მზადა ვარ ყოველივე უსიტყვოდ დავთმო.

შეხნიერებული, ბავშვობის მოგონებებში ჩაძირული ვაჟკაცის წარმოსახვას არ შორდება დიდ-პატარაზე გადაყოლილი, დილიდან დაღამებამდე მშრომელი, ნიადაგ მოფუსფუსე ქალბატონის განუმეორებელი ხატება. რამდენის მთქმელია მრავლისმცოდნე და ბევრი რამის მომსწრე შვილიშვილის თუნდაც ეს, სასოებით აღსავსე შეძახილი, ძვირფასი, ამაგდარი პიროვნების აჩრდილისადმი, არაამქვეყნიური, ანგელოზური შუქით გასხივოსნებულ სურათს რომ აცოცხლებს:

ავადმყოფების სასთუმალთან ღამის მთეველო,
სამოთხე არის ალბათ შენი სასუფეველი!

იშვიათად ხდება, რომ პირველი შთაბეჭდილება გამიმტყუნდეს - რევაზ სვანიძის უმთავრესი თვისებათაგანი ის გახლავთ, რომ იგი ხასიათის გამსწორებელი, მოყვასზე მზრუნველი და გასაჭირში ჩავარდნილის ხელის გამმართავი კაციადაყველაფერსამასხაზგაუსმელად,უანგაროდაკეთებს. ასეთი პიროვნებები სულ უფრო იშვიათად გვხვდებიან ჩვენს უღიმღამო ყოფაში. სამაგიეროდ, შემაშფოთებლად მომრავლდნენ სხვისი გარჯის მიმთვისებელი, სათავისო, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე გადასული ადამიანები. ხშირად ისინი თავს წმინდა იდეალების, სიკეთის მსახურებად მოგაჩვენებენ, სინამდვილეში კი, ავადმყოფური ამბიციებით გატენილები, მხოლოდ პირად გამორჩენაზე ფიქრობენ. არაფერს თაკილობენ, რათა თავიანთი გაინაღდონ და, სხვების ხარჯზე, ნაიარნაირი ხრიკებით, საწადელს მიაღწიონ.

ალბათ ამიტომაც, რევაზ სვანიძეს ადამიანობის, კაცობის ერთადერთი საზომი აქვს მომარჯვებული - ყველას, გარშემო მყოფთ, იმისდა მიხედვით აფასებს, ვინ რას აკეთებს საიმისოდ, რომ საქართველოს რაიმე არგოს, ხალხს, ქვეყანას, მის მომავალს რითიმე წაადგეს. ამ მხრივ იგი დიდი ილიას ჭეშმარიტი მიმდევარია.

მიუხედავად თანდაყოლილი მორიდებისა და საკუთარი თავისადმი მკაცრი მოთხოვნისა, რევაზ სვანიძემ რამდენჯერმე გამოაქვეყნა ლექსები ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. შესანიშნავი მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, განსვენებული ჯანსუღ ღვინჯილია, მისი მეგობარი და თანამოაზრე იყო და ერთ-ერთი პუბლიკაციას მცირე წინათქმაც წაუმძღვარა, სადაც ნათქვამია:

"ამქვეყნად, ჩვენს გვერდით, არიან ადამიანები, რომლებიც მეტისმეტად მკაცრად ეპყრობიან თავიანთ ნიჭს. წერენ საინტერესო პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს, მაგრამ ეკრძალვიან ლიტერატურის ასპარეზს, არ ჩნდებიან, არადა, იწვიან, ნათელი სული აქვთ, სავსენი არიან პოეტური ოცნებებით, სათქმელით, მაინც ჩრდილში ყოფნას არჩევენ...

აღმამხედი კაცია რევაზ სვანიძე, სუფთა პიროვნება, პოეტური ბუნების ადამიანი, მამულიშვილი, საქართველოს ტკივილებითა და საწუხარით გულგასენილი.

საინტერესო ლექსების ავტორია, განცდა, სათქმელი, ხედვა სამყაროსი პოეტურია. რედაქციებთან ურთიერთობის პრაქტიკა აკლია მხოლოდ...

დგას მის ლექსებში სიწმინდე, ოცნება და ტკივილი - სამი განუყრელი ნიშანი პოეტისათვის".

გაგიჭირდება არ დაეთანხმო ვალმოხდილი მწერლისა და მამულზე ფიქრით დაფერფლილი ადამიანის ამ ალალ, პირუთვნელ შეფასებას.

სასიამოვნო ამბავია, რომ თუნდაც სიჭარმაგის ჟამს რევაზ სვანიძემ, მასავით ლიტერატურისა დ ხელოვნების ჭეშმარიტი დამფასებლის, ჩვენი საერთო მეგობრის ნუგზარ ნორაკიძის დაჟინებული რჩევით, გადაწყვიტა მის მიერვე დაკვირვებით, დინჯად შერჩეული და დამუშვებული ლექსები, ერთ მომცრო წიგნად შეკრული, ქართველი მკითხველის სამსჯავროზე გამოეტანა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხის გულამდე და გონებამდე მივა, გამოძახილსაც იპოვის - პოეზიის ენაზე ნათქვამი მართალი სიტყვა თავისი ქვეყნის პატრიოტის და ღირსეული მოქალაქისა. ამ წიგნს, გარკვეული მხატვრული ღირსების გარდა, მისი პათოსისა და მიზანდასახულობის გამო, დღევანდელ საქართველოში, თვალსაჩინო ზნეობრივი მნიშვნელობაც ექნება.

ემზარ კვიტაიშვილი
28 მარტი, 2008



XX საუკუნე

მე-20 საუკუნეში საქართველომ
თავისუფლება ორჯერ მოიპოვა,
რას მოგვიტანს XXI საუკუნე?

ამ საუკუნეს მიაცილებს ილიას ლანდი,
ამ საუკუნემ აგვიშალა ფიქრი და დარდი...
მსხვერპლი დიდია, სიდუხჭირე დასანანია –
– ორჯერ მიღწეულ თავისუფლებას,
ნუთუ მოჰყვება კვლავ ტირანია?

ამ საუკუნეს მიაცილებს გალაკტიონი.
ოცდამეერთეს შემართება, ძალა და გონი;
სულს მაშვრალისა დღეს წყურვილი კვლავ ეუფლება!
– ო, მოპოვებულ აღმაფრენის გზას,
არ მივაყენოთ მზაკვრულად ვნება.

„ამ საუკუნეს ალბათ მხოლოდ შევრჩებით ორნი",
ზენიტში მყოფმა კონსტანტინემ ამაყად გვითხრა,
ვერავინ იტყვის, რამდენია დიდების მდომი,
– ოცდამეერთე რას მოგვიტანს?! გვაწვალებს კითხვა.

ბურუსი გვაკრავს, გადაშლილა, წინ ბრძოლის ველი,
ძირს დაცემა, თუ ფენიქსივით აღდგომა გველის?!
ნუთუ განგებამ საბოლოოდ გადაგვარჯულა?!
ოცდამეერთე მეოცისა მოვა მსაჯულად.

ამ საუკუნეს მიაცილებს ილიას ლანდი,
ამ საუკუნეს მიაცილებს გალაკტიონი,
ამ საუკუნემ აგვიშალა ფიქრი და დარდი,
– ოცდამეერთეს შემართება ძალა და გონი.

1997

ეთხოვებოდა ერი ერისკაცს

„საქართველოს სამი სულიერი მამა ჰყავდა:
ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი და
ექვთიმე თაყაიშვილი.“

კონსტანტინე გამსახურდია

„ექვთიმე თაყაიშვილის ცხედარს
ორმოცდაათამდე კაცი მიაცილებდა...“

გაზეთებიდან

ასაფლავებენ ღარიბს და მდიდარს,
ნამდვილ პატრიოტს და ქვეყნის დამქცევს...
მიწა დიდია – ყველაფერს იტანს,
იხუტებს ყველას, მიწადვე აქცევს.

იღვრება ცრემლი – ყალბად და ნაღდად,
სხვადასხვაგვარი გვაქვს ეს შეგრძნება,
მუდამ გაჰყვება ქართველ კაცს დარდად
იმ დღეს მომხდარის ცხადად შეგნება:

ეთხოვებოდა ერი ერისკაცს
ორმოცდაათი წარმომადგენლით...
კარგად უწყოდნენ, კარგავდნენ ვისაც,
ჩაჰგუბებოდათ დუმილში ცრემლი.

კვლავ გაემიჯნენ ერთმანეთს მყარად –
ურცხვი მედროვე – ვინაც ლაჩრობდა,
და ვინაც ღვთისას გლოვობდა ზვარაკს,
ალალი ცრემლი ვისაც აღრჩობდა.

დღესაც გრძელდება შფოთი და დავა,
ამ ჭიდილს ბოლო არცროს ექნება;
ერის ღირსებად დარჩება კვლავაც
ორმოცდაათი კაცის შეგნება.

დრო მსაჯულია, დიდება უფალს!
ყველა ღირსეულს მიუზღავს ამაგს,
ვინაც სამშობლოს უჭირისუფლა,
ვინც აღიარეს სულიერ მამად,
ვინც მამულის განძს იცავდა მკერდით,
და იმკვიდრებდა მტკიცედ, თამამად
ადგილს – ილიას, ივანეს გვერდით.

თუ მეჩვენება, თუკი მე ვცდები

ქეთის

ჩემი ვნებები შენდამი როცა
უფრო მძაფრდება და არ ხუნდება,
მწამს – შენი თავი თვით ღმერთმა მომცა
და სიყვარულიც დამიბრუნდება.

თუ სხვას ეკუთვნი (ეს ღვთის ნებაა),
შენი ღიმილიც მოჩვენებაა?
ვერ გამიგია, თვალები მწველი,
რატომღა არის კვლავ გამომწვევი?

თუ მეჩვენება, თუკი მე ვცდები,
ამაო არის ჩემი განცდები,
ჩემი ვნებები დარჩეს ვნებებად,
სინამდვილე კი – მოჩვენებებად.

მაშინ სიყვარულს მუსიკას ვადრი,
შორს, შორს მოარულს – ლანდად, ეულად,
დაე გაცხადდეს სიკეთის ყადრი
შენდამი ტრფობად, ეშხად გრძნეულად.

ის ივლის მარად მუდმივ მხარეში,
სამყაროს გზაზე, კოსმიურ ქარით,
მიწიერ ყოფის ხვატი და თქეში
დე, შეიცვალოს ჯადოსნურ ქნარით,.

და როცა უფლის დიადი ნებით,
ანგელოზები მოვლენ გუნდებად,
წავალთ იქ, სადაც მისი განგებით
დიადი გრძნობა დაგვიბრუნდება.

სერაფიმები სადაც არიან,
სადაც არიან თვითონ ღმერთები,
და სადაც ყოფნა სულს უხარია,
ჩვენ სიყვარულით კვლავ შევერთდებით.

თუ მეჩვენება, თუკი მე ვცდები,
ამაო არის ჩემი განცდები,
ჩემი ვნებები დარჩეს ვნებებად,
სინამდვილე კი – მოჩვენებებად.

15. 05. 1997

ნიაგარას ჩანჩქერთან

მსოფლიოში ყველაზე წყალუხვ ჩანჩქერს ნიაგარას, მდინარე ნიაგარა წარმოშობს, რომელიც სათავეს ერის ტბაში იღებს და ბოლოს ონტარიოს ტბაში ჩაედინება. ანხელი–ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში გვიანის ზეგანზე (ვენესუელა).

ქართული ენციკლოპედია

ამერიკის და კანადის საზღვარს
"Niagara Falls"ჩანჩქერი საზღვრავს...
ბევრი ტურისტი აქ ტაატით და ნება – ნება
მსოფლიოს ყველა კონტინენტით მოედინება.

მეც მოველ, გნახე, ნიაგარავ, შხუილით რბოდი,
ხმები წამღები ყურთასმენის, გარემოს ფარავს...
მედიდურობა შენი მახსოვს, მნუსხავს და მზარავს
და აღტაცება ჩემი, შენით, არც დამიფარავს!

კრძალვით გიცქერდი და ვფიქრობდი ჩემთვის მე ჩუმად
(გონებით ვიყავ სამშობლოში, აქ გახლით სტუმრად):
ვით მოგანიჭა შენ განგებამ ასეთი როლი?
მსოფლიოს რომელ ჩანჩქერებმა დაგიდონ ტოლი?

შმაგო, წყალუხვო, მაქვს სურვილი ამის გამხელის –
შენზე მეტია, სიმაღლეში გჭარბობს ანხელი.

მაინც სხვა არის ჩანჩქერები ჩემი ქვეყნისა,
ვისთვის პატარად, უსახელოდ, მჩქეფარედ, ლაღად..
თავისუფალი ვარდნა თუკი მათაც ეღირსათ,
ვეღარ დაეტყოს იმათ სრბოლას ვერასდროს დაღლა.

სათავე მათი – უწმინდესი ჩემი მთებია,
ნაჟური წყლები უფლის მადლით ნაპკურებია,
ჩქერთა დინებით შეერწყმიან დიდ ტალღებს ვისას?
მძაფრია ლტოლვა – შეუერთდნენ სივრცეებს ზღვისას.

ლურჯი ზეცაა მათი თაღი, ცის კამარათი;
ჩქერების ტალღა, დაკიდული, მზეზე უელავთ,
ვერ გამაკვირვოს ამერიკამ ნიაგარათი
და ვერც ანხელის წყალვარდნილით, ვენესუელამ.

ღამე სამთავროს დედათა მონასტერში

ბინდია.. ძალზე
წყნარი ქრის ქარი...
სამრეკლოს თავზე
გუგუნებს ზარი,
მონაზონთ ლოცვა,
ხატის წინ ფიცი,
მუხლებზე ცოცვა,
სანთლის ლიცლიცი.

დღით რაც გროვდება
გვემა, გოდება,
ჟამი მიმწუხრის
უმატებს წუხილს.

ღამე. სამთავრო
ეფლობა ძილში.
იღუმენია,
(ტალანნი ვისიც
მონაზონ ქალთა
არს საცხოვრისი)
ოდეს მონაზვნებს
ძილისთვის უხმობს, –
მათი თანხმობა,–
მორჩილი, უხმო..

კიდევ ერთი დღე
ასკეტურ ყოფის,
სულის განწმენდის –
უფალთან ყოფნის
და მასთან ლოცვის
დიად სურვილში,.
თვითგვემის ტკბობის
მუდმივ წყურვილში –
საოცრად სწრაფად
გაფრინდა, გაქრა...
უკანასკნელი
სანთელიც ჩაქრა...
კვლავ ოცნებებთან
დარჩნენ მარტონი.

მხოლოდ ღმერთია
მათი პატრონი.

ონეიროსი*
სიზმრებს მოუვლენს,
რათა სიზმარში
და მხოლოდ ღამით
ამ ცოდვილ მიწას
მოშორდნენ წამით..

ბინდია წყნარი,
აღარ ქრის ქარი,
აღარ რეკს ზარი...
ძილი.. სიზმარი...

* – ონეიროსი–ძველი ბერძნული მითოლოგიით, სიზმრის მომავლინებელი ღვთაება.

ცხოვრება მწარე სინამდვილეა

თამაზ ჩხაიძის ხსოვნას
17.02.2008

ცხოვრება მწარე სინამდვილეა,
თუმცა გამოკრთის სიტკბოც მმალავი,
რამდენ ხანს ქვეყნად ვიარეთ ერთად,
რა გზები დაგვრჩა გაუკვალავი.

შენ შრომა ბედმა გარგუნა ხვედრად
და ერთგულება გასაოცარი,
ზოგიც კი მიზნად განცხრომას ხედავს,
ვისთვის ოცნება სწორედ ეს არი.

შენ რომ არ გვყავხარ, ვეღარ ვიჯერებ,
გამახსენდები – ფიქრიც არ მინდა,
გვახსოვს სიქველე და გვერდზე დგომა,
გფარავდეს ღმერთი და სული წმინდა.

ო, როგორ გნატრობს შენი პატარა,
ანცი, კეთილი და თბილზე თბილი,
არ წაიშლები, ხსოვნას ვატარებთ,
არ დავივიწყოთ ერთხელ განცდილი.

მაინც რა არის წუთისოფელი,
ჩვენს შორის ყოფნა არ დაგაცალა,
როგორ გელოდა და ახლაც გელის,
შენი ლანჩხუთი, შენი აცანა.

ცხოვრება მწარე სინამდვილეა,
ზოგჯერ გამოკრთის სიტკბო მმალავი,
რამდენ ხანს ერთად ვიარეთ ქვეყნად,
რა გზები დაგვრჩა გაუკვალავი.

მამულს მივხედოთ

შ.ჯ–ს ქორწილში თქმული
1989 წლის 2 დეკემბერს
(სამაჩაბლოს მოვლენები)

მიწას მივხედოთ, მშობელ მიწას!
სისხლდანთხეულს და ცრემლით ნამულს,
გონზე მოეგეთ, ქართველებო!
შეხედეთ, როგორ გვტაცებენ მამულს!

წყენის შემდეგ... განშორების მოლოდინში

ქეთის

მე არ მინდოდა არაფერი – სიყვარულს გარდა,
მაგრამ ვერ შევძელ გამერღვია დუმილის ფარდა,
გიგონებ ახლა სევდით, რიდით, ჭმუნვით და დარდით..
როგორ მიყვარდი, საოცარო, როგორ მიყვარდი.

ავბობოქრდები, როს გიხილავ ქუჩაში ხატად,
ან, თუ სახება, შენი, სიზმრად გამომეცხადა,
მონატრებისას მაძაბუნებს, გულს მიხრავს დარდი,
როგორ მიყვარდი, მშვენიერო, როგორ მიყვარდი..

და თუ ოდესმე მდუმარების გაიხსნა ფარდა..
მქონდეს იმედი?
როგორ გგონია, ჩუმი თრთოლვით გამიღიმებდი?..

.....
მე არ მეწადა არაფერი – სიყვარულს გარდა,
ო, ეს გამყვება სამუდამო სევდად და დარდად,
.....
როგორ მიყვარდა ერთი ქალი, როგორ მიყვარდა.

ორჭოფობა

მინდა – გავბედო და გითხრა,
თუმცა – ამაზედაც ვრისკავ,
თუკი ვერ მიხვდები, ვინ მკლავს,
მიჯობს, ვეღარ შევხვდე ცისკარს.

ვნატრობ – იქნებ დამესიზმრო,
ვშიშობ – არ დამცადო ცუდად,
მინდა – სიახლოვე ვიგრძნო,..
ვფიქრობ – შემიყვარო უნდა.

ვაი – სად გამექცა ფიქრი,
ალბათ –თავს მივეცი ნება,
გონი – სად მიფრინავს, მიჰქრის,
მოდი, ერთად ვიოცნებოთ!

1996

მაინც ვერ დაგივიწყე

ცხელი იდგა ზაფხული,
მაგრამ მაინც მათოვდა,
შენი თრთოლვა მახსოვდა,
ვიყავი დაზაფრული.

მზე მადნობდა თაკარა,
თუმცა სუსხიც ერია,
სული გადამერია,
რულმა არ გამიკარა.

ზღვაში ვიყავ ეული,
ტყეშიც კენტად მარები,
სულით ნამწუხარები,
დავრჩი სულ არეული.

ზღვასავით ბობოქარი,
არ მომეშვა სიფიცხე,
თვალი ერთხელ მოგკარი,
მაინც ვერ დაგივიწყე.

ცხელი იდგა ზაფხული,
მაგრამ მაინც მათოვდა,
შენი სახე მახსოვდა,
ვიყავი დაზაფრული.

შეჩერდი, წამო !

ქეთის

როცა ფუჭი ცხოვრებით, ხოხვით, ზლაზვნით, რიდით,
უხმაუროდ, უნდილად, წლები ნელა მიდის,
ჭაობში ხარ ჩაფლული, მოძრაობა დუნეა,
დროა შეჩერებული – წამი საუკუნეა.

უცებ შეგეფეთება ანგელოზის დარი,
სავსე სიკეთით და ჩქერით მომზირალი,
ყოფა შეიცვლება ლაღი ხვევნა – კოცნებით,
გონი ხარბად ისრუტავს აუხდენელ ოცნებებს...

მაშინ შენი ცხოვრება ნეტარების დარია,
წუთისოფლის საათი ნეტავ რამ გადარია?
ცაა ლურჯი, კამკამა, მდელო ზურმუხტ–ნამია,
დრო კი სწრაფად მსრბოლავი – საუკუნე წამია.

.....
.....

დრო კვლავ მოუსვენრად სწრაფად მიდის, მიდის....
უსასრულო სივრცეში ის გაქცევას ლამობს,
აღარ მინდა სიცოცხლე, ასე მრუმე, მშვიდი,
სული კივის ძალუმად: ო, შეჩერდი, წამო!

სიყვარული

ერთი შეხედვა ....შემდეგ ტრფიალი,
გულის ფრიალი, სიმაღლე სულის –
აღმასვლა სრული.

არ გაკარება თვალებზე რულის,
ცინცხალ სიახლეს როცა გრძნობს გული,
– შემოგისახლდა შენ სიყვარული.

შემოგნთებია ცეცხლად და ალად,
ვიღაც სულდგმულობს ერთადერთ ქალად.
ის გაგიხდია ცხოვრების არსად,
არავინ მსგავსი არ არის არსად,
მშვენებამ, მისმა, შეგაჟრჟიალა,
შესვი შარბათით სავსე ფიალა.

ბებია

ვუძღვნი ჩემი გურული ბებიის
ანეტა (ანა) მჟავანაძე – ლომჯარიას ხსოვნას

როგორც არასდროს, მომენატრა ჩემი ბებია,
ათი წელია, ეზოში არ შემგებებია,
თეთრი მიტკალით თავწაკრული ბებია ანა..
ოდაც, ნალიაც ჩვენს ეზოში ისევე დგანან,
მაგრამ შენ არ ხარ – საყვარელი, კეთილი სათნო..
შენთვის, მზადა ვარ, ყოველივე უსიტყვოდ დავთმო.

შრომა გიყვარდა, მოუღლელი, წელში წახრილი,
ამბის მოყოლა გონივრულად, ჭკუით, მახვილით,
ავადმყოფების სასთუმალთან ღამის მთეველო,
სამოთხე არის ალბათ შენი საასუფეველი!

როგორც არასდროს, მომენატრა ჩემი ბებია,
ათი წელია, ეზოში არ შემგებებია...
ძლიერ დაგვაკლდი – საყვარელი, კეთილი, სათნო..
ახლაც მზადა ვარ, ყველაფერი, მე შენთვის დავთმო.



წყალი

ლალის თხოვნით

ლალიმ სკოლიდან დავალება
მოიტანა: დაეწერა რაიმე წყალზე.

ნამიც წყალია, ნაჟური ცისა,
ცრემლიც, წვეთწვეთად, სევდად მდინარი,
ჭირხლიც და თოვლიც, მაღალი მთისა,
სათავე არის დიდი მდინარის.

მართლაც, საწყისი ერთია ყველგან:
ნამშიც, ცრემლშიაც, თოვლშიც, წყაროშიც..
მრავალგვარობის გამოვლინება
სილამაზეა ამ სამყაროსი.

როგორ?

ქ–ს

მდინარეზე ხიდი არ ძევს,
მინდა გადავცურო ნავით...
ქალო, მითხარ, ერთხელ მაინც,
როგორ მოგაწონო თავი?!

ვეფიცხები ზამთრის ბუხარს,
გარეთ მიკიოტი კნავის...
ქალო, მითხარ, ერთხელ მაინც,
როგორ მომანატრე თავი?!

ზღვა ლურჯი და ლაჟვარდ მდგარი,
მოლივლივე კიდით კიდე,
ზოგჯერ წყნარი, ზოგჯერ ავი,
მქუხარე და ბობოქარი.

სახე, შენი არ მშორდება,
მინდა ვიყო გამბედავი;
ქალო, მითხარ ერთხელ კიდევ,
როგორ შემაყვარე თავი.

ეს მდინარე, ზღვა და ხიდი,
მხოლოდ შენთვის მოვიგონე,
ლექსს სხვაგვარსაც ვერ გავხდიდი,
შენც იგრძენი, იგი, ვგონებ...

ჩემს თავს ვერ ვცნობ და ვერ ვიგებ,
რას მარგუნებს ბედი ხვედრად,
მადლობა ღმერთს, არსთგანმრიგეს,
რადგან შენთან შემახვედრა.

16. 09.1995

ფიქრები ნაბახუსევზე, დილის ექვს საათზე

დედამიწაზე ყოველ ათ წუთში ექვსი
ადამიანი იბადება და სამი იღუპება.
სტატისტიკიდან

არავინ უწყის რა მოგველის
ადრე თუ გვიან...

ჩემს სახლთან ვდგავარ დილაადრიან,
მეეზოვენი კვლავ ქუჩებს გვიან,–
როგორც გუშინწინ, გუშინ ისე,
მორჩილად, წყნარად
(ჩვენს შემდეგ კვლავაც განაგრძობენ
ამ საქმეს მარად).

არავინ იცის, რა მოგველის
ადრე თუ გვიან.

ამ სისხამ დილით რა მაფიქრებს
სიკვდილზე ნეტავ?
შიშისფეთებით რად გავცქერი
ამ ქუჩის მხვეტავთ?
წარიტაცება დღეის ყოფა,

ვით ცოცხით მტვერი...
ჩემი განსჯისას სიცოცხლე ბევრი
ამ ჩვენს პლანეტას კვლავ შეემეტა.

.....

არავინ უწყის რა მოგველის
ადრე თუ გვიან.

ბუდაპეშტი, 29. 01. 1999

რწმენა

როცა სულს მძიმედ დანისლავდა უკუნი სევდა,
მაშინაც რწმენის ნაპერწკალი გაიკვესებდა,
სასოწარკვეთილს მცილდებოდა უმალვე დარდი,
ისევ ვხდებოდი რწმენით სავსე, ამაყი, მარდი.

ახალ დროებამ ყოველივე არად აქცია,
იწყო ყოველის გაყალბება, დევალვაცია.

ვინც ვაჟკაცს ჰგავდა, დამანახა ნამდვილი სახე,–
არეულ დროში, გაჭირვებულს, დამიგო მახე...
პატივნაცემი ჩემგან, ბევრი იქცა მზაკვარად,
ვწუხვარ იმათზე, ვინც სიგლახემ გადააგვარა.

როცა მეგობარს, მეგობარი მტრად გადამკიდეს,
სიკეთის მთესი აიძულეს სიავეს მკიდეს,
ცოტაღა დამრჩა, რომ დავკარგო ქვეყნად მთავარი,–
რწმენა, იმედი, რომ გვექნება კვლავ მომავალი.

მაგრამ, ყველაფერს მე ვრაცხ მაინც არარაობად,
მოვა ამ ყოფის შემმუსვრელი სულ სხვა თაობა.

პირველი მიტინგი

პირველად იყო იპოდრომი...მიტინგი მზეში...
და ხალხის როკვა ოთხმოცდარვის ნოემბრის თვეში,–
მერაბის სიტყვა – აფეთქება, დენთით დენთების....
შემდეგ გამოსვლა გუშინდელი დისიდენტების:

გამსახურდია, ჭანტურია და წერეთელი –
ერს წინამძროლად მოევლინა პლეადა მთელი.
მიტინგს მიტინგი მოჰყვებოდა ჯერ არნახული..
ხალხის ხსოვნაში ამ დღეებმა გაჭრეს ღრმა ხნული.

შემდეგ ფორუმი, კონტურები სათათბიროსი
და მისი დაშლა შავი ღრუბლის მრუმე ფთილებად ..
ფორუმის კრახი, არდათმობა, ლანძღვა, მხილება,
მრგვალ მაგიდას და კონგრესს შორის განხეთქილება.

გავიდა ნუთუ პერიოდი რომანტიული?
სადა ხარ , მერაბ? „მეგობრებოს“ ვეღარ დასძახებ?
შერიგების გზა, ერთადერთი გეზი ღვთიური,
ამ გზით შენ ძმების შერიგება აღარ დაგცალდა!

რაღა ვართ ახლა, სად გავჩერდით? რაღას ვაპირებთ?
გამოჩნდი, მოსე, გაგვიყვანე იქ, სხვა ნაპირზე!
იქნებ გავცუროთ, გადავლახოთ მღვრიე მორევი!
ნუთუ არ არის ქვეყნად ძალა შურის მომრევი?!

.....

პირველ მიტინგთა აღტკინება კვლავაც გულშია,
ჩვენი ხსნა იქნებ მხოლოდ ღმერთის სასწაულშია.

ივნისი, 1991

ეს საქართველო ჩვენიცაა

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები.
დაპირისპირება. მესიანიზმი. როგორ გზას ავირჩევთ?

ეს საქართველო ჩვენიცაა, ბატონო ზვიად!
მომავლისათვის ჩვენც გვიხნავს და ჩვენც გვითესია,
და მისწრაფება – გამოვტაცოთ სამშობლო წყვდიადს,
სულაც არ ნიშნავს, მოგვევლინოს ვინმე მესსიად.

თუკი ჩვენს შორის არ გამოჩნდა ჯერ კიდევ მოსე,
აჩქარებითაც არ ივარგებს საქმის დაწყება.
სამშობლო ჩვენი თუ სუდარით კვლავ შეიმოსა –
უმიზნო გვემით არაფერი არ გადაწყდება.

მოუგვიანდეს მოჩქარესო, ბრძენს ასე უთქვამს
ჯიქურ კვეთებას შეცდომებიც მოჰყვა მრავალი...
თავისუფალი გვსურს ცხოვრება და ლაღად სუნთქვა, –
იქნებ ფრთხილი გზა აგვერჩია, მისკენ მავალი?

არ ვართ მშიშრები, ვერც მოვითმენთ, მოგვსრას
ხუნდებმა...
გაჭენებულ რაშს ცოდნის, გონის მოვდოთ აღვირი,
ძმის სიყვარული როცა ყველას დაგვიბრუნდება,
ვიტყვით: არ იყო სისხლის ტბორი, ფუჭად დაღვრილი.

18. 08.1991

ჭეშმარიტება

შვილს

არ დაგშრეტოდეს პოვნის სურვილი,
მიგნება მუდამ სიამეს ბადებს,
ვით მაშვრალისთვის მოკვლა წყურვილის,
ისე სალბუნობს ის გულის ნადებს.

ეს გზა – ციცაბო კედლით სავალი,
ერთადერთია და გიხმობს მაღლა...
თუნდ შევეწიროთ მიზანს მრავალი,
მაინც არ უნდა დაგვეტყოს დაღლა.

ჭეშმარიტების ძიების მეტმა,
არა მსურს ქვეყნად რამემ გატაროს,
რადგან ისე, ვით უფალი ღმერთი,
ისიც ერთია, ჩემო პატარავ!

საალერსო

მაღლა, მთაში ნისლი ცურავს,
ია ხარობს ნამითა,
გოგოვ, სულ მთლად გადამრიე
შენი სითამამითა.

კლდის ფლატეზე ჩანჩქერი ქუხს,
შემდეგ მოდის რაკრაკით,
მუდამ ცინცხლად მახსენდება
შენთან ნალაპარაკი.

ნეტავ, ყველაფერი ისევ
იწყებოდეს თავიდან,...
შენი კდემა, კრძალვა, რიდი
ნეტავი სად წავიდა?

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ

დემოკრატია – მართვის ყველაზე უარესი ფორმაა,
ყველა დანარჩენის გარდა, რომლებიც
აქამდე იყო გამოცდილი.

უინსტონ ჩერჩილი

ეროვნული მოძრაობა,
ახალი პარტიების გამოჩენა.
ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის

თანასწორობა, თავისუფლება,
დემოკრატია – ბერძნულად demos,
ბოლომდე მისი იცოდე ფასი,
იოლად არვინ არ დაიჩემოს.

რა ჟინიც გკლავდეს – შეყოვნდი წამით,
სჯობს კი იფიქრო დღისით და ღამით,
ემოციები დათრგუნე გონით,
ნუ ცდილობ, რომ სხვა დაჩაგრო ღონით.
დემოკრატიის ანი და ბანი
– იყოს და არის ადამიანი!

თანასწორობა, თავისუფლება...
დემოკრატია – ბერძნულად – demos,
ბედნიერება, შვება ის არი,
თუ მას შეიცნობ, გაუგებ გემოს
და თავს არ მისცემ იმის უფლებას –
მოირგო იგი, როგორც გენებოს.

რასაც აპირებ, განსაჯე დინჯად,
წყრომა, სიფიცხე, მოთოკე გონით,
ეგ სულსწრაფობა დაგრჩება ხინჯად,
ნუ ცდილობ, რომ სხვა დასჯაბნო ღონით.

ჭეშმარიტების ანი და ბანი,
– გახსოვდეს, არის ადამიანი.

ქალს
(აღმოსავლურ მოტივზე)

ქალს სიყვარული ალამაზებს,
ვით ბულბულს ვარდი,
ყველაზე მეტად, ზაფრავს, აჭკნობს
ეჭვი და დარდი.

ქალს სილამაზე ასაზრდოებს,
ვით მიწა ბალახს,
ვერ ეგუება სიმარტოვეს,
თალხსა და ტალახს.

ქალს მოდრეკს სითბო, მოფერება
სიტკბო, ალერსი, –
თუ ვერ გაგიგებს, ემსგავსება
მახვილს ალესილს.

თუ ქალს უყვარხარ,
სასოება გამოკრთის ნაზად
და გაგეგება იგი უმალ
ქვეშ ფიანდაზად.

ქალს სიყვარული ალამაზებს...

სხვა ქვეყანაში წასულ ტურისტებს

ლიას და ნანას

მოველ, არ დამხვდით, მეწყინა, ვნანობ,
მითხრეს, წავიდნენ საზღვრის გარეთო,
წავიდნენ, გაქრნენ ლია და ნანა,
უცხოურ გზებზე მიჰქრის კარეტა.

უკრაინაში, შორ კარპატებში,
ყინვამ, სიცივემ ვერ შეაშინა;
ლია ზურგჩანთით მთებში გადეშვა,
რომ მოესმინა იქ „ჩერემშინა".

მოგზაურობას არავინ გიშლით,
კეთილი რჩევა არ დაგრჩეთ წყენად,
ვიცი, გსურთ ტოლებს მოუგოთ ნიშნი,
მოდას არაფრით ჩამორჩეთ თქვენაც.

სიამეს სხვათა მიწაზე ეძებთ,
ნაკლებად წყალობთ საკუთარ მხარეს...
მოდით, გავშავდეთ ჩვენი ზღვის მზეზე,
შევიგრძნოთ ქროლვა მშობლიურ ქარის!

მობრძანდით, გელით ამერ–იმერი,
ჯვარი, ყაზბეგი, ვარძია, შხარა,
აჭარის მთები, ალაზნის ველი,
ამჟამად ამის მოხილვაც კმარა.

ქართული მიწის თითო მტკაველი
თქვენთვის არსებობს, გჯეროდეთ, გწამდეთ,–
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
და ოვსეთიდან არაგაწამდე.

სიმღერა სიყვარულზე

მაია ჯაბუას სიმღერის ფონზე

თუ შეჰხარი, მიგიზიდა,
თუკი მართლა გიყვარს გზნებით,
რაც გაგაჩნდა მისთვის გინდა,
ერთნაირი გაქვთ მიზნები...

მიყვარხარო უთხარ, თორემ,
დრო თქვენ აღარ გელოდებათ,
ყოველ წუთის სიმარტოვე
დაგედებათ გულს ლოდებად.

თუკი ეტყვი მიყვარხარო,
გადაუხსნი მკერდსაც ღიად,
მაშინ სული მისთვის ხარობს,
დარდი წყალსაც წაუღია.

მაგრამ, ვინძლო შენს გულის სწორს
დაუმალავ გულის ნადებს,
თქვენ განგება, მხოლოდ თქვენ ორს,
დაგაბედებთ სევდას, დარდებს.

თუ შეჰხარი, მიგიზიდა,
თუკი მართლა გიყვარს გზნებით,
რაც გაგაჩნდა, მისთვის გინდა,
ერთიანი გაქვთ მიზნები...

მიყვარხარო დროზე უთხარ,
თორემ დრო არ გელოდებათ,
ყველა წუთი სიმარტოვის
დააწვება გულს ლოდებად.

შემოდგომაზე, გვიან, ვენახში

გინახავთ შემოდგომაზე თქვენ გაძარცული ვენახი?
გული იმგვარად მეტკინა, ნეტავი სულ არ მენახა.

აღარ ზუზუნებს ფუტკარი, არსად ჩანს მწვანე კალია,
ჭიგოს აკრულ ვაზს არ უჩანს სიცოცხლის ნიშანწყალია.

ვენახის ღერო ერთთავად დაშრეტილა და დაცლილა,
სილამაზისგან თითქოსდა სამარადჟამოდ გაცლილა.

აღარც ხასხასა დუყები და მწვანე, ლორთქო ბალახი,
წალმის გამხმარი კონები და აზელილი ტალახი.

მჭკნარ – დაცრეცილი ფოთლები სასიკვდილოდ რამ დახარა?
ზვარი რამ გადააქცია პარტახად, ნავენახარად?

თუმც პატარების ლოდინში დაკოდილ გულს რომ ახარებს,
თითო ორ–ორი მტევანი გამოკრთის ნავენახარებს.

კიდევაც მოვა აპრილი, ახალი, მწვანე კვირტებით,
სიცოცხლეს იწოვს ვენახი თუ კარგად დააკვირდებით...

გლეხი კაცი კი ყოველ ვაზს დაჰკანკალებს და დაჰხარის,
ღმერთო აცილე ქართველ კაცს შენ განცდა ნავენახარის.

დროება მოვა კვლავ ვაზის, ვაზის, ძველის და ახალის,
არ გამაგონოთ სიტყვები: „ნასახლარ–ნავენახარი".

დღევანდელობა

ვეღარ ვისმენ ლეგენდებს და
ნაირ–ნაირ, ჭრელ–ჭრელ მითებს,
გული სულ გადასხვაფერდა –
ჭორს, ტყუილებს ვეღარ ითმენს.

გაჭირვება სულს გვაძრობს და
ბრტყელ – ბრტყელ, ფუყე სიტყვებს ვისმენთ,
გამოსავალს ვერ ვპოულობთ,
ჭკუა დავესესხოთ ვისმეს?

იფიქრე!

ქ–ს

იფიქრე მხოლოდ ჩემზე,
იფიქრე დღით და ღამით, –
იფიქრე , მაშინ როცა
თვალი გევსება ნამით.
იფიქრე!
იფიქრე ჩემზე, ვიდრე
გული ძალუმად გიძგერს...
მასზე, ვინც ცრემლებს ღვრიდეს,
ოდეს თვალებში გიცქერს.
სული ხომ უკვდავია,
განა ეს გრძნობა დნება,
ჯერ ხომ არ არის გვიან –
რა მოკლავს, ტრფობას, ვნებას?!
იფიქრე მხოლოდ ჩემზე,
იფიქრე დღით და ღამით,–
იფიქრე!

მაისი, 1996

კარლოს

კარლო სულხანიშვილს,
– ძმური სიყვარულით

ჩვენი კათედრის სული და გული,
და ველისციხის შავი ბულბული.

აგრონომიული ნათქვამი

ზურაბ ჭიპაშვილს, იმერელ კახელს,
დისერტაციის დაცვის შემდეგ, „ახდილ პიანინოზე“
დაკვრის დროს და სეკატორის ჩუქებისას

გესხლას და გემყნოს, გემყნოს და გესხლას –
ვაზი გიყვარდეს ძირით – ფესვამდე,
თუ ქართველი ხარ, არ შეეპუო,
ღვინოსაც სვამდე, არაყსაც სვამდე.

ამრავლე ვაზი, სპე სარეველა,
ჯვარი გიყვარდეს წმინდა ნინოსი,
სიყვარულითაც დარბოდე ველად,
ხმა გესმას „ახდილ პიანინოსი”.

გიყვარდეს ვაზი – ციცქა და ხიხვი,
ღვინის სმა ყანწით, მეტადრე ჯიხვის,
თუ ერთს გეტყვიან, შენა თქვი ორი,
რადგანაც უკვე გაქვს სეკატორი.

1984

დაუნდობლობა

„მე არ დამინდეს", „არც მე დავინდობ",
იყო ჭიდილი დასაბამიდან,
დრო ბევრზე ბევრი, გაქრა, გავიდა,
ჩვენ კვლავაც ისევ, ვიწყებთ თავიდან.
.....
ვწუხვარ, არ ვცხოვრობთ, ჩვენ უფლის რიდით,
მისი დიდებით, სიკეთის ხიდით,
ჯიბრით ვიწყებთ და ვამთავრებთ ჯიბრით,
არა მინდობით, დათმობით მშვიდით,
მხოლოდ შეტევით, მხოლოდ შეჯიბრით...
ჯავრს, ერთმანეთთან კვლავ მტრობით ვიყრით.

სიკეთისაგან – არა ავიდან,
მოდით, ყოველი ვიწყოთ თავიდან!

მომიგონებ კი?

იქნება აღარ დავრჩი ამ ქვეყნად,–
– მომიგონებ კი?
.....ცნობა, მწუხარე, გაზეთმა თუ გამოაქვეყნა,–
– გამიხსენებ კი?
თუ გამიხსენებ, კაეშანი მოგეძალება?
მოგაგონდება ძველი რიდი და მოკრძალება?
გაგახსენდება უტკბესი გრძნობით შენდამი ლტოლვა?
დაფიქრდები კი, ვით უნდოდა ამ გრძნობებს მოვლა?
თუ გამიხსენებ, აანთებ სანთელს?
თან ჩემზე სადმე იტყვი კი სათქმელს?
და ხსოვნას ჩემსას მოჰფენ თუ ნათელს?
.....
იქნება აღარ დავრჩე ამ ქვეყნად.....
მომიგონებ კი?

მეგობარს

ჯემალ ბერიძეს

ამდენმა წელმა, შურმა და ჭორმა
ერთურთის გრძნობა რომ ვერ გაცვითა,
თამამად უნდა ვთქვათ მაშინ ორმა:
„კაცი კაცით და ღობე ქაცვითა".

სიქველე ყველგან გვახლავს და გვბედობს,
კარგის კეთების მოგვდგამს უნარი,
მახვილი ფარის გვერდით თან გვედოს,
–წინ – ჩვენი ძმობა, გაუხუნარი.

ცხოვრების შემოდგომა

მ–ს, ბალზაკის ასაკის ქალს

მზით გაჯერებულ შემოდგომას
მისი ხიბლი აქვს,–
თუმცა ზაფხული რა ხანია
წარსულს ჩაბარდა,
სოფლის ღობეზე ჩამომჯდარა
ჩიტი ნიბლია,
სიყვარულს ეტრფის, გაზაფხული
რამაც დაბადა.
უცებ დაგვიდგა შემოდგომა,
დღე აღარ ხვალობს,
თანაც ზამთარიც კარს მოგვადგა
საღათას ძილით,
მალე, ჰე, მალე დამემგზავრე,
ლამაზო ქალო,
ნუ შეგაშინებს გაზაფხულთან
შორი მანძილი.
ვერ დაიბრუნებ გაზაფხულის,
ელვარე ჩქერებს,
ნაცრისფერ ნისლში ხომ გამოკრთის
ზეცის კამარა?
უარი ვუთხრათ ულამაზეს,
კაშკაშა ფერებს,
სიცოცხლისათვის ეს პატარა
იმედიც კმარა.
მაშ, მივეძალოთ გალაღებულ
ბოჰემურ ყოფას

და შემოდგომაც გაილევა
მწვანე ფიქრებში....
მჯერა, რომ ჟინი ამისათვის
კვლავაც გვეყოფა,
სულს აგვიწეწავს და ჩაგვითრევს
მღვრიე ზვირთებში.

.....

მზით გაჯერებულ შემოდგომას
მისი ხიბლი აქვს,
თუმცა ზაფხული კარგა ხნის წინ
წარსულს ჩაბარდა,
სოფლის ღობეზე ჩამომჯდარა
ჩიტი ნიბლია,
და მას უგალობს, გაზაფხული
რამაც დაბადა.

ჩემი ადგილი

ერთი დღეობის შემდეგ

ჩემი ადგილი მხოლოდ იქ არის,
სულით და გულით სადაც მელიან,
ფუჭი ღიმილი, ხელოვნურობა,
დამეთანხმებით, ერთობ ძნელია.

ჩემი ადგილი მხოლოდ იქ არის,
სადაც უჩემოდ რაღაც აკლიათ,
...ცრუ კეკლუცობა, ნაძალადევი,
ადამიანთა მოდგმის ნაკლია.

ვადიდოთ გრძნობა! თუმც ინტიმური
გრძნობის დაფარვა ხშირად გვჩვევია,
ცოდვა ის არის, ჯერ კიდევ ვისაც,
შავ – თეთრი ვეღარ გაურჩევია.

გულისხმიერი ადამიანის
ბედი მაფიქრებს მე მეტისმეტად,
სხვისთვის რომ სულსაც არ დაიშურებს,
თვითონ კი რჩება მარტოკა, კენტად.

ჩემი ადგილი მხოლოდ იქ არის,
სადაც ჩემს სიტყვას ედება ფასი,
და სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ,
ხელიდან ხელში გადადის თასი.

ჩემი ადგილი მხოლოდ იქ არის,
სადაც მერგება სრული სიამე.,
სწორედ ამ გრძნობის განცდის იმედით,
მითენებია მრავალი ღამე...

სადაც კი სხივი, თვალთაგან, მწველი,
სიამის ჟრჟოლვით, ნექტარით მკვლელით...
იფრქვევა ლაღი სიკეთის დარი:
ჩემი ადგილი მხოლოდ იქ არი.

ახალი დროება

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.
ყველა, იცის თუ არა, ბიზნესს
ეწაფება. რა გამოვა?

სულერთი გახდა – ვინ ხარ, რა ხარ, ცოდნით და გონით,
ბუფეტში დგას და პროფესორი ლუდს ასხამს მარდად...
სავაჭრო ჯიხურს ვერ მოსწყდები მთელი დღე, მგონი,
ფულის კეთების პროფესია თუ შეგიყვარდა.

პოეტი ხარ თუ ინჟინრობას ჩემულობ დიდად,
ბიზნესს ეწევი, ექიმბაშობ მფრთხალი და ფრთხილი,
სანტექნიკოსიც, მუსიკოსიც დღეს არაყს ხდიდეს,–
არც ერთი საქმე აღარ არის ახალი ხილი.

განურჩეველი გახდა საქმე და პროფესია:
შამპანურს ასხამს? წიგნს გამოსცემს? – ჩალიჩ კაცია!
მაშ, მომაწოდეთ კომერსანტთა ახალი სია –
არც თამბაქოა მათთვის უცხო, არც ფარმაცია...

ბაზარში ყველა ჩაბმულია–დიდიც, პატარაც,
მათი ჩამოთვლა შორს წამიყვანს, მერწუნეთ, მიჭირს..
დუხჭირმა ყოფამ, გაჭირვებამ ვინ სად ატარა,
მთავარი არის – გქონდეს ფულის კეთების ნიჭი.

ფიქრში ამეკვიატება

ძილშიაც და ცხადშიც ხდება,–
შენი ნდომით გული კვდება,
შენზე დარდი და ოცნება
ფიქრში ამეკვიატება.

არ მშორდება და მეც მინდა,
ეს სახება თვალწინ დგება,
შენი თავი, – სული წმინდა –
ფიქრში ამეკვიატება.

და... ანაზდად, როცა მხვდები,
გული საგულეს არ დგება,
შეგხედავ და უცნაურად
მკერდში შემიფრთხიალდება.

გამომხედავ ნდობის თვალით,
სული მიფორიაქდება,
თან იმედის ნაპერწკალი
თვალში ამიკიაფდება.

ივლისი, 1996

სიკვდილის დრო და აზრი

ძველ ეგვიპტეში სიცოცხლის ხანგრძლიობა
30 წელი იყო. 25 წლის კაცი მოხუცად ითვლებოდა.
ახლა, ყველაზე ხანდაზმულთა ქვეყანაში, იაპონიაში,
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75–79 წელია.

სიკვდილსაც თავის დრო და აზრი აქვს,
ადრე ვინც მოკვდა, ის ლამპრად ენთო,
გვიან წასული კი ჩაიფერფლა,
თანდათან, ნელა, გადიქცა ღვენთად.

სიკვდილსაც თავის დრო და აზრი აქვს,
თუ არ მოგადგა, მალულად, ქურდად,
თუ არ იქეცი, ზედმეტად, ხურდად,
თუ კი იცოცხლე, როგორც შენ გსურდა.

გიჟი და ბრძენი

გიჟი შეკითხვებს სვამს,
ბრძენს პასუხები უჭირს,
ამ დროს გიჟია ბევრი,
ბრძენი კი – შეკვრა მუჭის.

ანდერძის მაგიერ

არა, მე სიკვდილს ასე ადრე არ ვაპირებდი,
მაგრამ განგებამ მოითხოვა ეს ჩემი სული,
რამდენი რამე დამრჩა თქვენთვის დანაპირები,...
ჰოი, იტევდა რამდენ სევდას ჩემი წარსული.

წავალ, გავქრები და ქვეყანაც გაძლებს უჩემოდ,
ადამის მოდგმის არჩევანი ერთობ მწირია,
მოხუცის ნეშტი მიაბარეთ ცივ მიწას, ჩუმად,
გაქრეს ის, ვინაც უფლისაგან განაწირია.

სადღაც ცივ სამარეში

(სიკვდილის შემდეგ)

მივიწყებულ მხარეში,
ტრფობით გული გეწვოდა..
ცხარე ცრემლი გდიოდა
და ძალიან გეწადა,
ხელი გამოგეწოდა.

ალბათ, გრძნობა ძალუმი,
შეგრჩენოდა თამამი,
ნდომით იტანჯებოდი,
მოეძალა თვალთ ნამი.

იქნებ არ დაგავიწყდი,
უცხო მხარეს მარები,
აგეშალა კვლავ გრძნობა,
შორით ნაელვარები....
ბოლოს კი ჩაიფერფლა
შენი ლურჯი თვალები.

.....

ვერ დაფარა სურვილმა
გზათა, შორთა, სიგრძენი,
აქ, ამ უცხო მხარეში,
სიმარტოვე ვიგრძენი...

.....

მიტოვებულ მხარეში,
სადღაც, ცივ სამარეში,
ტრფობით გული გეწვოდა...

აგვისტო, 1996

შენა ხარ

ეპიგრამის მაგიერ

ამ ჩემს ღირსებას
თუკი ვინმე კვლავაც შელახავს,
ამის მიზეზთა მიზეზი და კვლავ მიზეზი
მხოლოდ შენა ხარ!

ასპირანტების ხროვას

დისერტაციების დაცვის „ბუმის“ დროს,
დასწრებული და დაუსწრებელი
სწავლების ასპირანტები, მაძიებლები..
გივი, კახა.მიშუსტინი, თამაზი,
ტომარაძე და სხვები

დავას არ ვიწყებ ამ თავსატეხზე,
მსურს შევადაროთ ერთმანეთს მხოლოდ,
კანდიდატობის კანდიდატებო,
გთხოვთ, დაიხსომოთ.

იქნებ სჯობია მაძიებელი,
გული ხომ მაინც ექნება მთელი,
მაძიებელი მაინც კაცია,
იმას ათეულ წლობით აცლიან,
აღარ ეტყვიან, ზუსტად სამ წელში:
„აბა, მაიტა დისერტაცია”.

მაგრამ, ბოდიში.. მე შემეშალა,
აქ ოთხწლიანთა ვხედავ პარტიას..
ჩვენი თამაზიც და მიშუსტინი –
დაუსწრებელი ასპირანტია.

თუ „სამწლიანთა“ დისერტაციებს
დაუნდობელად უჩენენ გვალვას,

დაუსწრებელთა დისერტაციებს –
ოთხ წელიწადში ვიხილავთ მრავალს.

თუ რამე ვერ ვთქვი ან ვერ გამიგეთ,
პოლემიკისთვის მოვაწყოთ ტური,
...თუმც ამ საქმეში ვერ გამოვდგები,
– ტომარაძეა კომპეტენტური.

.....

მგონი ცოტათი ზედმეტები ვთქვი..
გივი ჩაფიქრდა, კახას აციებს..
ხელში აიღეს უმალ კალამი...
მაშ გაუმარჯოს დისერტაციებს!
ასპირანტების ხროვას სალამი!.

16. 11. 1996



პაემანზე ანუ კოცნა თოვლში

ოდნავ შეგეხე...უეცრად შეკრთი,
ჟრუანტელს მგვრიდა სურნელი ნექტრის.
ხმა შეგეცვალა... გახდა რა რბილი,...
და თბილზე თბილი ტუჩები თრთოდნენ...
უცებ დაეცა ყვავილი თოვლზე..
დაჰბერა ქარმა უცხო მხარისამ,
მთელი სხეული ტურფა ქალისა
ჩემს წინ კვლავ თრთოდა... თოვდა და თოვდა.
.....
ღამე კი იდგა – მშვიდი და წყნარი,
საოცნებო და გასაოცარი, ვით სამოთხეში;
გამყვება ყველგან – იმ ფიფქთა ეშხი
და შენი კოცნა, დაუვიწყარი.

ზამთრის პირი თბილისში

ენერგეტიკული კრიზისი

გვიანი შემოდგომა,..
სიცივის მოლოდინში,..
ვით გადავიტანთ ზამთარს? –
გული გვევსება შიშით.

თენდება დილა...მაგრამ,
სწრაფადვე წვება ბინდი,
დღეები მაინც ნელა,
კუს ნაბიჯებით მიდის.

დაუფლებია ყველას,
მკაცრი სიცივე, თოში...
გაზაფხულამდე, ნეტავ,
ვინ ივლის მარათონში?

ნოემბერი, 1996

ერთი მოყვასი

ერთი მოყვასი ცხარედ დაობდა,
რომ ეს ცხოვრება ისე დაობდა,
ხალხის სევდა და კრულვა, გოდება –
ვაგლახია და საცოდაობა.
ხმა ავიმაღლოთ, ვიღონოთ რამე –
ეგების გვეყოს გამბედაობა.

კაცი მოკვდა

თენგიზ (კუკური) შარიქაძის ხსოვნას

მოკვდა კაცი, მტერს და ავს,
ვის მოუკვდა? თავის თავს?
არა მხოლოდ თავის თავს,
იქნებ კიდევ მრავალს, სხვას?

ასე არის თუ ისე,
თვალებს ცრემლებით ვივსებთ.

თუმცა ცოდვილ მიწაზე,
ძნელი მისახვედრია?
წუთით სოფლად სტუმრობა,
ყველა კაცის ხვედრია.

.....

დამიჯერეთ გეტყვით რასაც,
თუ გამიგებთ, ამცნეთ სხვასაც:
თუკი კაცი ვარგა კაცად,
ვერ შეფასდეს ვერა ფასად,
ის უკვდება თავის თავსაც,
მაგრამ მეტად, ასჯერ ასად,
დააკლდება იგი სხვასაც.

14. 01. 1997

გაზაფხულის დასასრული

ქ–ს
„წამი მწამს ეზიდება.“
გალაკტიონი

მზერა მომკლავს ამ ქალის,
სათნოა და თბილია,–
ამ ზაფხულს მე ვერ გავლევ,
ეს ხომ სინამდვილეა.

გული არ ძევს უბეში..
გრძნობა მირევს გონებას,
მინდა შენი ნუგეში,
ველტვი შენს მოგონებას.

თუმცა ჩემი სიცოცხლე,
ტანჯვის გზებით ნავალი,
ისე, როგორც მრავალი,
სულ მალე მინავლდება..

„წამი წამს ეზიდება”,
მე კი მინდა შეჩერდეს,
ჩვენი წრფელი გრძნობები,
დროა, უკვე შეჯერდეს.

ჩემი მზერა შენდამი
სიახლოვის მდომია,
გაზაფხული ამიტომ
კვლავაც ჩემი მგონია.

და თუ ამის იმედის
არ ჩანს ნაპერწკალია,
ჩემი ლტოლვა შენდამი
თუკი დასამალია,
ვფიქრობ ყოველივე ეს
გაზაფხულის ბრალია.

მაშინ ეს გაზაფხული
ჩემი აღარ მგონია,
ვგრძნობ, მალე დამიდგება
სიცოცხლის აგონია.

ეს მანძილი ჩვენს შორის
იზრდება და იზრდება,

„წამი წამს ეზიდება,
წამი წამს ეზიდება".

„წამი წამს ეზიდება",
ბოლო არის მაისის,
დასასრულის, დაისის,
იდუმალი ხმა ისმის.

28. 05. 1995

საყვარლის საფლავთან

(სოფლის სასაფლაოზე)

აჰა, შენთან მოვედი,
შენი დასაფიცარი,
ქვემოთ, ცივ სამარეში,
გადევს კუბოს ფიცარი.

მოველ და მოგიტანე
ვარდის დიდი რტოები,
სოფლის სასაფლაოზე
წევხარ განმარტოებით.

ისევ შენთან მოვედი,
თვალზე ცრემლის ნამითა,
შენი სახე, ძვირფასო,
არ მშორდება წამითაც.

რამდენ წყალს ჩაუვლია,
ხვატში, წვიმა–თქეშშია,
შენი სული ნატიფი,
ზეცის სამოთხეშია.

კარგო, შენთან მოვედი,
შენი ეშხის მჩენია,
მე შენს მეტი ამ ქვეყნად,
არავინ დამრჩენია.

სოფლის სასაფლაოზე
წევხარ განმარტოებით,
მოვალ კვლავაც, მრავალჯერ,
ვარდის დიდი რტოებით,
საფლავს რომ მოვაშორო
ხვიარა და ხავსია,
ჩემი სული მარტოა,
მწუხარებით სავსეა.

ერთი წელი

ნაზი ღიმილი მუდამ თან გდევდა,
თუმცა ფარული შეგნიშნე სევდა,
რა გრძნობა გქონდა, – ტკივილი მწველი..
რა უცებ, სწრაფად გავიდა წელი.

ბობოქარი ხარ, ზღვისდარი ღელვა,
ზოჯერ – საავდრო ღრუბლების ელვა,
ხან კი გიგულებ ფოთლების თრთოლვად,
მდელოზე თრთვილვით დაფენილ თოვლად...

მონატრება ხარ, სურვილი ჩემი,
დაუოკებელ სურვილთა მჩენი...
სრული ხარ, სავსე, ვით ბადრი მთვარე,
აღტაცება და სული მშფოთვარე.

ნაზი ღიმილი მუდამ თან გდევდა,
თუმცა ფარული შეგნიშნე სევდა,
რა დარდი გქონდა, – ტკივილი მწველი...
ვაი, რა უცებ, გასულა წელი.

28. 05. 1996

თვალშეუდგამი სიმაღლიდან

თვალშეუდგამი სიმაღლიდან გვიყურებს ღმერთი და ეცინება:

ერთურთის ყვლეფით,
სიგიჟით,
გლეჯით
და მოტყუებით,–
ადამის მოდგმა კვლავ ერთმანეთს რომ ეცილება.

თვალშეუდგამი სიმაღლიდან გვიცქერის ღმერთი და გვეუბნება:

მოყვასის ტრფობის,
მეგობრობის,
ძმობის,
ერთობის
გამოთქვით ნება.

თვალშეუდგამი სიმაღლიდან გვარიგებს ღმერთი:

ადამის მოდგმავ, „ჰომო საპიენს",

რას ფიქრობ ახლა, ან რას აპირებ?

სიკვდილის ცელი – სიკვდილის აქლემი

ელგუჯა ტალიაშვილის ხსოვნას
01.06.1997წ. 12.30წთ.

სიკვდილის ცელი სიცოცხლეს თიბავს,
მზაკვრული ხელით თვით სიკვდილს ხიბლავს..

არავის უთმობს სიკვდილის ცელი,
არვის პატიობს, არავის ინდობს,
დიდს და პატარას ვერავინ შველის,
ყველას აწამებს, ყველასთან დიდობს.

ვერავინ იჭერს სიკვდილის აქლემს,
ტანჯვას, ვაებას თესავს და აკმევს...
... და ეს აქლემი ვეება კუზით,
ყველას სახლის წინ აიტუზება.

ო, დამენანე სულისშემძვრელად,
ყადრი იცოდი ღვინის და პურის,
როგორც იტყოდნენ ქართველნი ძველად :
„ღმრთის მადლი გქონდა უხვად ნაპკური".

ამაო იყო მცდელობა შველის,
კვლავაც მძლავრობდა სიკვდილის ცელი.

სიკვდილის ცელი სიცოცხლეს თიბავს,
მზაკვრული ხელით თვით სიკვდილს ხიბლავს..

უკანასკნელი პირველი თოვლი

„ვინ იცის, გაისად ამ დროს სად შევხვდები პირველ თოვლს?!“
დევნილი პრეზიდენტის ნათქვამი მწყემსებთან, ნასვირას მთასთან.

სამეგრელო, 1993 წლის 17 ნოემბერი.

ჩვიდმეტ ნოემბერს მეკავშირემ გათქვა მდევარი,
ჩქვალერისა და ქართლაშის მთის თანმიმდევარი,–
ნასვირას მთა, მთასთან სტუმარი,– ქოხი მწყემსური,
მწყემსურ ნაჭაზე კარდლით წყალი, იქვე რძე სურით.

თეთრ ყაბალახში, თეთრი წვერით, გაშლილ მდელოზე,
ლოცვა დაიწყო ხელაპყრობით საქართველოზე.

მდევრის სუნთქვის ხმას მეჯოგენი ანდობენ გუმანს,
დგება წასვლის დრო, მოწიწებით დგანან და დუმან.
სამშობლოსაგან განშორება ვერ იტევს სევდას,...
საკუთარ ჭერქვეშ ღამეს იგი ვერ გაათევდა.

პირველმა თოვლმა გადაპენტა ნასვირას არე,
შემობრუნდა და მყის გამოკრთა სული მწუხარე:
„გაისად ამ დროს სად შევხვდები პირველ თოვლს
ნეტავ?“
ჩემს ქვეყანაში, თუ დევნილი – ეულად, კენტად?

მომავალ თოვლს კი იგი შეხვდა ზეცაში ლოცვით,
მისი სამშობლო, – ომით, ჯიბრით, ერთურთის ხოცვით.



ზოგჯერ

ზოგჯერ მომივლის მე სურვილი, ახირებული,
გავშორდე ქალაქს, სადღაც მთაში ვწყემსო ნახირი.
გავცილდე ჭაობს, უსაქმურთა არარაობას,
მოვწყდე მეგობრებს – ძველს და ახალს, ყველა თაობას.
არავინ მახლდეს ახლობელი, გადვიქცე ხელად,
და არც არავინ მოდიოდეს, ჩემთან, მნახველად.
დავსახლდე სადღაც განაპირას, შორს, მინდვრის ბოლოს,
სოფელში, სადაც ათი კომლი იქნება მხოლოდ...
მწვანეში ჩაფლულ სახლს სახურავი ჰქონდეს კრამიტის,
ან თუნდაც ისლის, –
სიმყუდროვეში კარმიდამო დაიფაროს
რძისფერი ნისლით,
შემომხაროდეს სისხამ დილით ხეთა კვირტები...
იქნებ ამითი ვპოვო აზრი ჭეშმარიტების?
.....
ზოგჯერ მომივლის მე სურვილი ახირებული.

01. 03. 2003

მიძღვნა

გერმანია, როტენბურგი, ა.დ.ფულდა,
საავადმყოფო, ოპერაციის წინ.
08.01.2003

ჩემო სამშობლოვ,
ნუ ჩამითვლი ზღაპრად, არაკად,
თუ შენ ისურვებ, თუკი დაგჭირდა,
მე ჩემს სიცოცხლეს შემოგწირავ,
მსხვერპლად, ზვარაკად.

სილამაზე

გამოაბრწყინე ღვთაებრივი და უცხო სხივით,
გაიღიმე და მოვიხიბლე ნათების ხილვით,
შემომხედე და კვლავ ჩამიდგა ძარღვებში სისხლი,
ყოველი ჩქამი შენთან ყოფნის გავზომე მისხლით.
სიტყვა მითხარ და გამიქარვდა დარდი ყოველი,
შენგან და შენით ნეტარების გავხდი მპოვნელი,
მე, უიმედოს, გამამხნევებს, ლოდინი ხვალის,
რომ ერთხელ კიდევ, თუნდაც წამით, შეგავლო თვალი.

მოდით!

მოდით, განვმარტოთ
რატომ ვართ მარტო?
თებერვლის შემდეგ
რად არის მარტი?
რად იჩითება ჯოკერი კარტით?
ან რატომ არის ფოცხვერი სხარტი?
პარიზში არის მართლა მონმარტრი?

10. 06. 2006

პუ, საოცრებავ!

მენეჯმენტის დედოფალს ქეთრინ პუს – ჩინური, წარმოშობის ამერიკელს. მაშინ, როდესაც ქვეყანაში საშუალო ხელფასი რამოდენიმე აშშ დოლარს არ აღემატებოდა, შპს „საქართველოს ტელეკომის“ ფინანსური მენეჯერის ქეთრინ პუს გასამრჯელო რამოდენიმე ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

ამერიკული გამოხედვა, ჩინური თვალით,
დღე შენი ტრფობის ვერ შევცვალო ვერასდროს ხვალით,
ყავისფერ სახით შეექცევი ყავას „ნესკაფეს”,
პუ, საოცრებავ, მენეჯმენტის გზას რომ გვიკაფავ.

ო, ნუ ამიგებ ჩინურ კედელს – ვერ გადავლახავ,
შენთან მრავალ წელს სიტკბოსა და სიამეს ვნახავ,
თუ კი „ტელეკომს“ არ გავყიდით, ვიქნებით მყარად,
ათი ათასი დოლარით კი ვიცხოვრებთ მარად.

დაწერილია შპს „საქართველოს ტელეკომის“ მენეჯმენტის
გაფურჩქვნის პერიოდში, დამფუძნებელთა კრებაზე, 1999 წელს

P. S.
პუს წასვლის შემდეგ

თუ მენეჯმენტში არ დაგვცალდა მიღწევა მეტის,
დე, მოვიწვიოთ, გავიხსენოთ პუს მენეჯმენტი.

20.09.2002

მელიების ფერმაში

ძმური სიყვარულით კარლო სულხანიშვილს

უცხოელი სტუმრები, ექსკურსიაზე ბაკურიანში. მელიების ფერმა. კარლოს ნიკოსთვის მელიის პატარა ლეკვი მოუნდა.

შევიდა ოთხად მოხრილი,
მელათ სადგომი ბნელია,
ხელს წინ გაიწვდის
მოთხოვნით:
მომეცით ერთი მელია...
გაკვირვებული მზერა და
პასუხი:"მაგი ძნელია".
თვალებში სევდა ჩაუდგა:
„რათა, ეს საკვირველია?
ონავარ ნიკოს მივუყვან,
სახლში ბალღები მელიან."

ქალი ხორბლის ყანაში

(ფანტასმაგორია)

ნიავი წყნარი, თავთავთა ტალღა,
ლურჯ ცაში, მაღლა, სულ უფრო მაღლა,
ტოროლა ქროდა და თან წიოდა...
და დილის ნამი.... ოდნავ ციოდა...
ხორბლის სურნელი ველს ასდიოდა...
ყანაში ნელა ვიდოდა ქალი, სავსე და სრული.
თითქოსდა უცებ შემეკრა სული:
ხორბლისნაირი, პერანგი ღამის....
თეთრი თეძონი უჩანდა ლამის,
უჩანდა თითქოს და არც უჩანდა.....
მოსავალს კარგი პირი უჩანდა.

თებერვალი, 2008

მეტოქე

ევროპისა და აზიის საზღვარზე, კონსტანტინეპოლში, აღმართულია სოფიოს უმშვენიერესი ტაძარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე არაერთხელ დაზიანებულა. 1453 წლის 29 მაისს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ტაძარში შეკრებილ მლოცველებს სასტიკად გაუსწორდნენ. ევროპა ბიზანტიას არ დაეხმარა, იმპერია დაემხო. ოსმალებმა ტაძრის გალავანში მინარეთები ჩააშენეს. ოცი წლის სულთან ახმედმა მის გვერდით, მეტოქეობის გასაწევად, ლურჯი მეჩეთი ანუ სულთან ახმედის მეჩეთი ააგო.

სოფიოს ტაძარს დიადემა გმოსავს მანტიად,
შენს გალავანში ფესვი უდგას რამდენ მინარეთს...
ათასწლეულთა აღტაცება ძველ ბიზანტიის,
მოაქვს დიდებად ისტორიის წყალუხვ მდინარეს.

ქარტეხილებმა, ათასი წლის, გადაგიარა,
მრავალი რბევა, განსაცდელი ბედმა გარგუნა...
საბედისწერო ტრაგედიის მწარე იარამ,
ბედის ბორბალი სულ უკუღმა შემოაბრუნა.

არ მოგეშველა შენ ევროპა, გაგიდგა განზე,
მარტო დაგტოვა, სულთამბრძოლი, დარჩი ეული,
ჩემი სამშობლო გამახსენდა შენს დანახვაზე
და შემენანა მტრებისაგან სისხლდანთხეული.

დაგამახინჯეს, მაგრამ მაინც ბრწყინავდი ეშხით,
საუკუნეთა განსაცდელთან ხარ წილნაყარი,
მარადისობის საუფლოში შენ გადაეშვი,
დგახარ ევროპა – აზიასთან, გზის გასაყარზე.

არ შეურიგდა სულთან ახმედ და შეგონებით,
მგზავრო, შეხედე, მხოლოდ წამით შესდექ, შეჩერდი!
იქვე შენს გვერდით, ჯიბრით, გარჯით, შმაგი გონებით,
წამოიმართა მედიდურად ლურჯი მეჩეთი:

აქეთ სიძველე და სიკვდილთან არდაზავება,
მშვენიერება, სილამაზე და უკვდავება,–
იქეთ – სიმდიდრე, არნახული, დადგეს ზვავებად,
– ძალა, სიუხვე სინატიფეს მტრობს, ედავება.

გადატანილის არ გეგონოთ, განსჯა ადვილი,
ყადრი იმისი იტორიამ იცის ნამდვილი,
ყოველს კუთვნილი მიუჩინოს უნდა ადგილი,
დიდ ხელოვნებას როდი ყოფნის მხოლოდ წადილი!

სოფიოს ტაძრის სიდიადე ვერრამ დანაცროს,
ვერ გამოდგები მის მეტოქედ ანუ სანაცვლოდ.

წარუხოცელი, ეფინება შარავანდედი,
გაუმბათი, მძლავრი, გასცქერს შორეთს, ვით თეთრი გედი.
რამდენს გაუძლეს, ქარტეხილებს, მისმა კედლებმა,
ლურჯი მეჩეთი, სწორუპოვარს, რას შეედრება.

თებერვალი, 2008

პლიაჟზე

(მსუბუქი ლექსი)

ლამაზი ქალი დღეს შენია, ხვალ – სხვისიო.
ქართული ანდაზა

იმ დღეს ხომ კიდეც ლამის შარსაც გადავეკიდე,
შავი ზღვის პლაჟზე, გონიოში, ბათუმის კიდეს,
თვალი ერთ ლამაზ ქალბატონს ვკიდე...
და.... მოვინუსხე ქვიშის, ხვატის რია–რიაში...
მრავალთა შორის თვალწარმტაცი და ტანკენარი,
ნაცნობის ცოლი გამოვიცან ქალთა სიაში.

ის კეკლუცობდა (მე კი მშვიდი მახსოვდა ქალი),
შევცბი, ვერ შევძელ, – მოვაცილე უმალვე თვალი.
გონს რომ მოვედი, მოვიკითხე, – აქ აქვს ვილაო,
მითხრეს: მესამედ ის ამ ზაფხულს გათხოვილაო.

მავანი იტყვის:
“ ვის ეკითხება, საქმე მისიო”,
ანდაზა ამბობს:
„ლამაზი ქალი დღეს შენია, ხვალ კი სხვისიო”.

თებერვალი, 2008

სიყვარულია!...

ვისთვისაც ცოცხლობ და ღირს ცხოვრება,
ვისი ხმაც მუდამ გემახსოვრება,
უცქერ და ტკბები, უმღერ და ეტრფი,
მთელი არსებით, თხემიდან ტერფით,
გრძნობ იმის ნათელს, ყველაზე დიადს,
ვნებით დაჭრილი გულის ხვაშიადს...
სიყვარულია, სიყვარულია..

გულო, საგულეს არ მიიყუჩო,
ლამაზ ქალებით აივსო ქუჩა!

05. 06. 2001

ო, როგორ შევძლო?!

ვხედავ პატარას, გაწვდილ ხელებით,
ვიტყვი, ცოდვაა, მივეშველები!..
ვინ დააპურებს? ვინ მისცემს შვებას?
რა გვეშველება? რა გვეშველება?

ბერიკაცს, დამჭკნარს, მოშლია ბუდე,
თვალები, მისი გემახსოვრება;
მუხლებზე უდევს მათხოვრის ქუდი,
რა ჯოჯოხეთად ექცა ცხოვრება!

გულში ლახვარი ჩამცესო თითქოს,
ეს ქალი იყო უბნის მშვენება...
კუთხეში დგას და ხურდა ფულს ითხოვს,
რა გვეშველება, რა გვეშველება?

კაცი ყავარჯნით, წიგნებს რომ ყიდის,
ამოიხვნეშებს დროგამოშვებით,
საუნჯეს უწვდის გამვლელებს რიდით,
შინ მიიტანოს ეგებ გროშები.

ჩემო პატარავ და გულის დარდო,
ჩემო მოხუცო თვალცრემლიანო,
ინტელიგენტო, ყავარჯნიანო,
სულ ახლობელო და თვალის ჩინო,
ო, როგორ შევძლო! რით დაგიამოთ
ყველას ტკივილი, გადაგარჩინოთ!

როცა ყველაფერი სულერთია

გარადამავალი პერიოდი. ქაოსი... ძველი სისტემა
მთლიანად არ დანგრეულა ხოლო, ახალი ძალაში არ შესულა.
ყოფილი ფუნქციონერები ახალ დროებასთან მორგებას ცდილბენ.

როცა სულერთია, ვინაც ამბობს რამეს,
როცა გიმტკიცებენ – დღე მოჰგავსო ღამეს...
როცა ვერ გაარჩევ ქართველს, თათარს, თურქსაც,
ოდეს მტერი ირგებს შენს ეროვნულ ქურქსაც,
ასეთ ორომტრიალს, ვიცით, რაცა ჰქვია, –
ერის დაკნინება, სრული ანარქია.

როცა გვერდით გვყავდა კაცი პარტიული,
ცხოვრება მოჭამა, ფულით ბოჭა ფული,
ამ კაცს „ეროვნული“ პოსტიც მისცეს „გზნებით”,
ჭკუას გვასწავლის და პროცესს მართავს სწავლის,
„ფარული თვალთვალის“ მოიფიქრა გზები,
თვითონ ყველა პოსტზე ნამყოფია „გავლით”.

ჰეი, ბატონებო! მოდი, ვნახოთ, ახლოს,
თვალში ჩაგვივარდა, ხელი აღარ ვახლოთ?
როცა სულერთია – ოც დოლარის ფასად –
თურქეთს გაუყვეს და ცოლი გექცეს ხასად,
როცა ერთმანეთის გვაღრჩობს შური, ჯიბრი,
მოყვასს ვეღარა ვცნობთ, თვალზე გვაკრავს ლიბრი.

ხმა არ გვესმის, ყური დაცული გვაქვს ცვილით,
და ღირსებაც, ჩვენი, ფულზეა გაცვლილი,
ღვინოს მოგაწვდიან, ხორაგს, დიდი სინით,
ძმაზე ჩაგძახებენ გესლიან სისინით,

ჩამსვე დაიჯერე, ალბათ გაწყობს ასე,
რადგან სხვისი ქვევრი შენ გგონია სავსე....
მაშ ვიცხოვროთ როგორ? ერი დარჩეს ერად,
მამულს ვარგოთ რამე, ბერი იყოს ბერად,
ასეთ საქართველოს მე ვერ ვხედავ, ვერა,
თქვენ ეგების გწამდეთ, მე კი არა მჯერა.

24. 09. 1990

ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე, ყველაზე კარგი,ყველაზე წმინდა...

ყველაზე ძნელი – კაცს ვერ იტან და
გულში იხუტებ მარდად.

და უფრო ძნელი – ქალი გიყვარს და ვერ ეფერები,
სულში გეხვევა დარდად,

საოცრად ძნელი – სხვა ქვეყანაში
ლტოლვილად ყოფნა არის.

ყველაზე მძიმე – ღალატი, მტრობა
შენი სამშობლო მხარის.

ყველაზე კარგი – მაშვრალ კაცისთვის ხელის გაწვდენა,
თუმც ღირდეს ერთი ასად.

ყველაზე წმინდა – სამშობლოსთვის თავდადება,
თუნდაც სიცოცხლის ფასად.

სარჩევი

პოეზიას საზღვრები არა აქვს (ემზარ კვიტაიშვილი) 5
XX საუკუნე 17
ეთხოვებოდა ერი ერისკაცს 19
თუ მეჩვენება, თუკი მე ვცდები 21
ნიაგარას ჩანჩქერთან 23
ღამე სამთავროს დედათა მონასტერში 25
ცხოვრება მწარე სინამდვილეა 28
მამულს მივხედოთ 30
წყენის შემდეგ... განშორების მოლოდინში 31
ორჭოფობა 32
მაინც ვერ დაგივიწყე 33
შეჩერდი, წამო ! 34
სიყვარული 35
ბებია 36
წყალი 38
როგორ? 39
ფიქრები ნაბახუსევზე, დილის ექვს საათზე 41
რწმენა 43
პირველი მიტინგი 44
ეს საქართველო ჩვენიცაა 46
ჭეშმარიტება 47
საალერსო 48
დემოკრატია და ალიანსი 49
ქალს 51
სხვა ქვეყანაში წასულ ტურისტებს 52
სიმღერა სიყვარულზე 54
შემოდგომაზე, გვიან, ვენახში 56
დღევანდელობა 58
იფიქრე! 59
კარლოს 60
აგრონომიული ნათქვამი 61
დაუნდობლობა 62

მომიგონებ კი? 63
მეგობარს 64
ცხოვრების შემოდგომა 65
ჩემი ადგილი 67
ახალი დროება 69
ფიქრში ამეკვიატება 70
სიკვდილის დრო და აზრი 71
გიჟი და ბრძენი 72
ანდერძის მაგიერ 73
სადღაც ცივ სამარეში 74
შენა ხარ 75
ასპირანტების ხროვას 76
პაემანზე ანუ კოცნა თოვლში 79
ზამთრის პირი თბილისში 80
ერთი მოყვასი 81
კაცი მოკვდა 82
გაზაფხულის დასასრული 83
საყვარლის საფლავთან 85
ერთი წელი 88
თვალშეუდგამი სიმაღლიდან 89
სიკვდილის ცელი - სიკვდილის აქლემი 90
უკანასკნელი პირველი თოვლი 91
ზოგჯერ 93
მიძღვნა 94
სილამაზე 95
მოდით! 96
პუ, საოცრებავ! 97
მელიების ფერმაში 98
ქალი ხორბლის ყანაში(ფანტასმაგორია) 99
მეტოქე 100
პლიაჟზე(მსუბუქი ლექსი) 102
სიყვარულია! 103
ო, როგორ შევძლო?! 104
როცა ყველაფერი სულერთია 105
ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე, ყველაზე კარგი,ყველაზე
წმინდა 107



რევაზ (რეზო) სვანიძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. არის რამოდენიმე წიგნის, ცნობარის, მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

რევაზ სვანიძემ, დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი სპეციალობით „რადიოტექნიკა." არის ტელეკომუნიკაციის დარგის სპეციალისტი. სამეცნიერო მიმართულება - გადაცემის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემები. **1975** წლიდან სტუ-ის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დოცენტი, ამჟამად, სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაციის კათედრის პროფესორი.

რ.სვანიძე **1981-1989** წლებში იყო სტუ-ს საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანი. **1992-1997** წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი. **1997-1998** წლებში მუშაობდა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში სამმართველოს უფროსად, **1998-2000** წლებში - მინისტრის მოადგილედ. **2000** წლიდან მუშაობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

ჰობბი: პოეზია, ძველი მსოფლიოს ცივილიზაციების ისტორია, არქეოლოგია.